დმანისის მუნიციპალიტეტის

განვითარების სტრატეგია

(2026-2037)

2026 წელი

შინაარსი

შესავალი	3
თავი I. სიტუაციის ანალიზი	7
მუნიციპალიტეტის ზოგადი აღწერა	7
მუნიციპალიტეტის ეკონომიკა	10
მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა	17
გარემოს დაცვა	18
ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა	20
სოციალური მომსახურება	
განათლება	22
კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა	23
მუნიციპალური სერვისები და მმართველობა	30
პრობლემების ხის ანალიზი	31
თავი II. ხედვა, მიზნები და ამოცანები	
ხედვა	33
პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები	33
თავი III. დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება	60

შესავალი

დოკუმენტის არსი, მიზანი და მნიშვნელობა, მოქმედების ვადა

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026–2037 წლების გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მდგრადი და ინკლუზიური განვითარების უზრუნველყოფისკენ მიმართულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ადგილობრივი განვითარების თანამედროვე მიდგომებს და მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გამოწვევების სისტემურ და გრძელვადიან გადაწყვეტას.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი განხორციელდა თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას. პროცესში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ადგილობრივი მოსახლეობა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი და სხვა შესაბამისი აქტორები. მრავალფორმატიანი სამუშაო შეხვედრების, საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შედეგად იდენტიფიცირდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი საჭიროებები, გამოწვევები და შესაძლებლობები. დოკუმენტი შემუშავებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვის პრინციპის შესაბამისად და ეფუძნება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, სფერობრივ კვლევებსა და ანალიტიკურ მასალებს. აღნიშნულმა მიდგომამ უზრუნველყო სტრატეგიის რეალისტურობა, მიზნობრიობა და შედეგებზე ორიენტირებულობა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზს, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე განვითარების შესაძლებლობები და პოტენციური საფრთხეები. აღნიშნულმა ანალიზმა განსაზღვრა სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და მიზნებისა და ამოცანების ფორმირების საფუძველი.

დოკუმენტი წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის რესურსების

ეფექტიან მართვას, სექტორული პოლიტიკების კოორდინაციასა და ადგილობრივი განვითარების თანმიმდევრულ განხორციელებას.

დოკუმენტის შემმუშავებელი მუნიციპალიტეტი, შემუშავების პროცესი - უწყება, სამუშაო ჯგუფი, მონაწილე სტრუქტურული ერთეულები

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026–2037 წლების გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავებულია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის კოორდინაციით, შესაბამისი უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით.

სტრატეგიის შემუშავების მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაც შედიოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და თანამშრომლები, საკრებულოს წევრები.

დოკუმენტის მომზადების პროცესი წარიმართა ეტაპობრივად და მოიცავდა სამუშაო შეხვედრებს, თემატურ განხილვებსა და კონსულტაციებს. სამუშაო ჯგუფი ახორციელებდა მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს, პრობლემების იდენტიფიცირებასა და განვითარების პოტენციალის შეფასებას. პროცესში აქტიურად ხორციელდებოდა კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ბიზნეს სექტორთან და დარგობრივ სპეციალისტებთან.

დოკუმენტი შემუშავებულია ფართო თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებთან, ინტერესებთან და განვითარების პრიორიტეტებთან.

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პოლიტიკის ჰარმონიზაცია

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026–2037 წლების გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

დოკუმენტი ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპებს და შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილ უფლებამოსილებებთან. ამასთან, სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია სხვა საკანონმდებლო და ქვეაქტური ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს მუნიციპალური განვითარების დაგეგმვას, საჯარო ფინანსების მართვას, რეგიონულ განვითარებასა და სექტორულ პოლიტიკებს.

სტრატეგია უზრუნველყოფს პოლიტიკის თანხვედრასა და ჰარმონიზაციას ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე არსებულ სტრატეგიულ და პროგრამულ დოკუმენტებთან. კერძოდ, დოკუმენტი შესაბამისობაშია:

„საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030" - მუნიციპალური პრიორიტეტები ეხმიანება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და სოციალური ინკლუზიის ეროვნულ ამოცანებს;

ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია - სტრატეგიის პრიორიტეტები ჰარმონიზებულია რეგიონული განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებთან, რათა მუნიციპალური ინიციატივები ხელს უწყობდეს რეგიონული პოტენციალის რეალიზებას;

სტრატეგია შესაბამისობაშია სივრცითი განვითარების დოკუმენტთან [დოკუმენტის სახელწოდება, არსებობის შემთხვევაში], რათა განვითარების სხვადასხვა მიმართულება შესაბამისობაში იყოს დასახლებების სივრცით პრიორიტეტებთან;

სექტორული სტრატეგიები - განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) - დოკუმენტის თითოეული პრიორიტეტი კავშირშია შესაბამის SDG-სთან, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების გლობალურ ჩარჩოსთან შესაბამისობას [SDGs ლოკალიზაციის და SDG 2030 დღის წესრიგში აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში, ასევე დაემატოს ინფორმაცია ამის შესახებ].

ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 განკარგულება და ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული სახელმძღვანელოს მოთხოვნები. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები ფორმირებულია აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობის პრინციპის დაცვით, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, პოლიტიკების კოორდინაციასა და განვითარების პროცესის თანმიმდევრულობას.

დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთიან ჩარჩოს, რომელიც ქმნის საფუძველს სხვადასხვა სექტორული მიმართულებების ინტეგრირებული და შეთანხმებული განვითარებისათვის, ასევე ხელს უწყობს სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას ადგილობრივ დონეზე.

სტრატეგიის საბოლოო პროექტის განხილვის მიზნით ასევე გაიმართა საჯარო კონსულტაციები [კონსულტაციების გამართვის ადგილი და დრო]. გამართული განხილვების შედეგად მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია საჯარო კონსულტაციების ანგარიშის დოკუმენტში, ხოლო მათი გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შეტანილია დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

სტრატეგიის დოკუმენტი შედგება ხუთი თავისგან. I თავი მოიცავს მუნიციპალიტეტის სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვისა და სოციალური, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი და მმართველობითი მდგომარეობის სიღრმისეულ ანალიზს. II თავი წარმოადგენს დოკუმენტის სტრატეგიულ ნაწილს - მასში ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი ხედვა, პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, ლოგიკური ჩარჩო და რისკების შეფასება. III თავი აღწერს სტრატეგიის განხორციელების მექანიზმებს, მონიტორინგისა და შეფასების სისტემას. IV თავი ასახავს სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესსა და მექანიზმებს სტრატეგიის განხორციელების პერიოდში.

თავი I. სიტუაციის ანალიზი

მუნიციპალიტეტის ზოგადი აღწერა

დმანისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონს მიეკუთვნება. მისი ფართობია 119,880 ჰა. დმანისის ადმინისტრაციულ ერთეულს დასავლეთით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, ჩრდილოეთით წალკის, აღმოსავლეთით ბოლნისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები, სამხრეთით კი - სომხეთის რესპუბლიკა. დმანისის მუნიციპალიტეტთან მდებარე უახლოესი სარკინიგზო სადგურია კაზრეთის სადგური. მუნიციპალიტეტის მდინარეებია მაშავერა, ოროზმანის წყალი, ფინეზაური, შავი წყალი, ხრამი, ჭოჭიანი. გვხვდება სამი წყალსაცავი - პანტიანი, იაღუფლო და ბაშპლემი. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა გომარეთის 5 ტბა. დმანისის მუნიციპალიტეტში ჰავა ზომიერად ნოტიოა, ცივი ზამთრით და თბილი ზაფხულით. მუნიციპალიტეტში 58 დასახლებული პუნქტია. მათ შორის 57 სოფელი და ერთი ქალაქია. დმანისის მუნიციპალიტეტში არის 17 ადმინისტრაციული ერთეული (იხ. დანართი 1). დმანისის მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიას აქვს მაღალმთიანის სტატუსი მინიჭებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება ბუნებრივი რესურსები: ტორფი („ფშანის“ ტორფის მოპოვება (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. განახლება) და სოფ. ქალაქ დმანისის მიმდებარე ტერიტორიაზე, „დმანისის“ ტორფის ლიცენზია არის გაცემული 88,678 ჰა-ზე დაახლოებით) პემზა (ვულკანური წიდა) სოფ. მამულოსთან და განახლებასთან), კირი (სოფ. გომარეთში), ტუფი და მწვანე ტუფი (სოფ. ბაზაქლოსთან, მწვანე ტუფის კი სოფ. მთისძირთან), ბაზალტი (სოფ. იფნართან), სამშენებლო ქვიშა (სოფ. ქარიანთან და სოფ. საჯასთან), თიხა (სოფ. განთიადში), ფერადი ლითონები (სოფ. დიდი დმანისის მახლობლად, ლიცენზია არის გაცემული ფერადი ლითონების მომპოვებელ კომპანიაზე შპს RMG GOLD-ზე), შავი გრანიტი (სოფ. ამამლოსთან).

დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2024 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 22,032 ათას მოსახლეს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის 5%-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, 13,84 %-ია, ხოლო 86,16 % ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა 2021 წლიდან 2025 წლის ბოლომდე შემცირდა -3,45 %-ით და მიაღწია 812 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში გაიზარდა 11,27%-ით (4 927 მოსახლე). დმანისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 65,5% ეთნიკურად აზერბაიჯანელი, 33,15% ეთნიკურად ქართველი, 0,45% ბერძენი, 0,45% რუსი და 0,45% სომეხი ცხოვრობს.

განათლების სერვისებიდან საჯარო სკოლა დასახლებაში ხელმისაწვდომია ათიდან რვა გამოკითხულისთვის (82%) და აქვე ეს ხელმისაწვდომობა სრულადაა უზრუნველყოფილი მოსახლეობისთვის ქალაქის შემთხვევაში (99%), მაშინ როდესაც სოფლის ტიპის დასახლებაში აღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომობაზე 79%

რეგიონი/ მუნიციპალიტეტი	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**	**ცვლილება 10 წლში**	**ცვლილების%**	**წილი, რეგიონში**
ქვემო ქართლი	**428**	**430**	**432**	**433**	**434**	**437**	**434**	**443**	**436**	**441**	**440**	**12**	**3%**	**100%**
ქ. რუსთავი	126	127	128	128	129	130	129	132	127	132	130	4	3%	30%
ბოლნისი	55	55	55	55	56	56	56	57	57	53	54	-1	-2%	12%
გარდაბანი	82	81	81	81	80	80	79	80	78	83	83	1	1%	19%
დმანისი	**20**	**20**	**20**	**20**	**21**	**21**	**21**	**22**	**22**	**20**	**20**	**0**	**-1%**	**4%**
თეთრიწყარო	22	22	22	22	22	22	22	23	23	20	20	-2	-9%	4%
მარნეული	105	106	106	107	107	108	107	109	108	116	117	12	11%	27%
წალკა	19	19	19	19	20	20	20	20	20	18	18	-1	-7%	4%

მიუთითებს. ინტერნეტზე წვდომა თითქმის ყველას აქვს ქალაქში (98%), სოფლის ტიპის დასახლებებში კი ეს მაჩვენებელი 89%-ია. მუნიციპალიტეტში ყველა დასახლებულ პუნქტს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

დემოგრაფია

დმანისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონის მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 4% ცხოვრობს. 2016–2026 წლების დინამიკის ანალიზი აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ბოლო 10 წელში თითქმის უცვლელი დარჩა (დაფიქსირდა უმნიშვნელო, 1%-იანი კლება) და 2026 წლისთვის 20 ათას კაცს შეადგენს. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, 84% (16,452 ადამიანი) სასოფლო დასახლებებშია კონცენტრირებული, ხოლო საქალაქო დასახლებაზე (ქ. დმანისი) მხოლოდ 16% (3,151 ადამიანი) მოდის.

ცხრილი: მოსახლების დინამიკა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტში ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ბოლო ათწლეულში არასტაბილურობითა და ხშირი უარყოფითი ნიშნულით ხასიათდება. 2016–2025 წლებში დადებითი ბუნებრივი მატება მხოლოდ ცალკეულ წლებში (განსაკუთრებით 2017, 2019 და 2023 წლებში) დაფიქსირდა, ხოლო დანარჩენ პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივი კლება შეინიშნებოდა, რაც პიკს აღწევს 2021 წელს (-63 ადამიანი). ეს უარყოფითი დინამიკა ძირითადად სასოფლო დასახლებების ხარჯზე ყალიბდება (მაგალითად, 2025 წელს სოფლად ბუნებრივმა კლებამ -17 შეადგინა), მაშინ როცა საქალაქო დასახლებაში დემოგრაფიული ბალანსი შედარებით სტაბილურია და ნულოვან ან მწირ დადებით ნიშნულს ინარჩუნებს.

ცხრილი. ბუნებრივი მატება საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით დმანისის მუნიციპალიტეტში

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
სულ	**-17**	**33**	**-3**	**28**	**5**	**-63**	**-4**	**76**	**-30**	**-17**
საქალაქო დასახლება	-3	8	8	21	9	-8	6	7	-1	0
სასოფლო დასახლება	-14	25	-11	7	-4	-55	-10	69	-29	-17

დმანისის მუნიციპალიტეტის შრომითი პოტენციალი მყარ საფუძველს ინარჩუნებს, თუმცა გამოკვეთილია დემოგრაფიული დაბერების რისკები. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15-64 წელი) წილი მთლიანი მოსახლეობის **59.1%-ს** (11,592 ადამიანი) შეადგენს. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ძალის შიდა სტრუქტურაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი 60-64 წლის კატეგორიაა (1,528 კაცი), რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მომავალ წლებში შრომითი რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი საპენსიო ასაკში გადავა. აღნიშნული აქტიური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (9,742 ადამიანი) სასოფლო დასახლებებში ცხოვრობს.

მუნიციპალიტეტში თაობათა შორის ბალანსი შედარებით თანაბარია, თუმცა ხანდაზმულთა ჯგუფი მცირედით აჭარბებს ბავშვთა კონტინგენტს. 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი შეადგენს 20.2%-ს (3,959 ბავშვი), ხოლო 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის (ხანდაზმულები) ხვედრითი წილი 20.7%-ია (4,064 ადამიანი). ამასთან, 20-24 წლის ახალგაზრდების კატეგორია (1,017 ადამიანი) ყველაზე მცირერიცხოვანია სამუშაო ასაკის ჯგუფებს შორის, რაც, სავარაუდოდ, შრომითი და საგანმანათლებლო მიგრაციით არის განპირობებული.

ცხრილი: მოსახლეობის რაოდენობა დმანისის მუნიციპალიტეტში ასაკობრივი ჯგუფების, საქალაქო-სასოფლო ტიპის დასახლებების და სქესის მიხედვით, 2024 წლის აღწერა.

	სულ			საქალაქო დასახლება			სასოფლო დასახლება		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
დმანისის მუნიციპალიტეტი	**19,603**	**9,697**	**9,906**	**3,151**	**1,495**	**1,656**	**16,452**	**8,202**	**8,250**
0-4	1,316	710	606	202	92	110	1,114	618	496

5-9	1,240	673	567	228	106	122	1,012	567	445
10-14	1,403	754	649	267	141	126	1,136	613	523
15-19	1,100	621	479	152	89	63	948	532	416
20-24	1,017	533	484	128	68	60	889	465	424
25-29	1,101	621	480	175	95	80	926	526	400
30-34	1,193	673	520	238	124	114	955	549	406
35-39	1,204	636	568	252	128	124	952	508	444
40-44	1,075	555	520	185	96	89	890	459	431
45-49	1,050	519	531	141	78	63	909	441	468
50-54	1,054	533	521	153	63	90	901	470	431
55-59	1,258	632	626	183	68	115	1,075	564	511
60-64	1,528	593	935	271	105	166	1,257	488	769
65-69	1,460	644	816	220	92	128	1,240	552	688
70-74	1,015	423	592	181	81	100	834	342	492
75-79	652	230	422	82	36	46	570	194	376
80-84	404	160	244	50	19	31	354	141	213
85+	533	187	346	43	14	29	490	173	317

დმანისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია სოფლის მეურნეობა, საშენ მასალათა წარმოება, გადამამუშავებელი მრეწველობა, მომსახურება, ვაჭრობა და ტურიზმი. ტერიტორია მდიდარია მინერალური რესურსებით (ტორფი, პემზა, კირი, ბაზალტი, ქვიშა, გრანიტი), რაც ზრდის საინვესტიციო პოტენციალს.დმანისი მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია 3,771 ეკონომიკური სუბიექტი (რეგიონის 5%), საიდანაც აქტიურია 1,115 (რეგიონის 6%). დმანისში დარეგისტრირებული სუბიექტების 30% აქტიურია. ეს არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლში. ყოველ 1,000 მოსახლეზე გაანგარიშებით 57 მოქმედი ეკონომიკური სუბიექტი მოდის, რაც ასევე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონში.

ცხრილი: ბიზნეს სუბიექტების ძირითადი მაჩვენებლები

	ბოლნისი	გარდაბანი	დმანისი	**თეთრიწყარო**	მარნეული	**რუსთავი**	**წალკა**	წილი რეგიონში
დასაქმებულთა რაოდენობა-ბიზნეს სექტორში (ათასი კაცი)	8	8	1	1	6	24	2	2%
დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი-ბიზნეს სექტორში (ლარი)	2474	1882	1654	1481	917	1558	1027	
რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	6749	13318	3771	4213	15382	29249	2743	5%
მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	1545	3459	1115	810	4161	6599	667	6%
აქტიურ საწარმოთა წილი რეგისტირებულშო	23%	26%	30%	19%	27%	23%	24%	
ახლადრეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	453	1119	309	276	1398	1797	366	5%
მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი) 1.01.26	54	83	20	20	117	130	18	4%
ეკონომიკური სუბიექტები 1000 მოსახლეზე	29	42	57	41	36	51	37	

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები*

დმანისის ბიზნეს სექტორი 2020-2024 წლებში განვითარების ტალღოვან ტენდენციას აჩვენებს, თუმცა საბოლოო ჯამში პოზიტიური დინამიკით ხასიათდება. 2022 წლის ვარდნის შემდეგ (31 მლნ ლარი), 2024 წელს გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ მაქსიმუმს მიაღწია და 77 მლნ ლარი შეადგინა. ეს წინა წელთან (2023 წ.) შედარებით 83.3%-იანი ზრდაა. დმანისის წილი რეგიონის გამოშვებაში 1.3%-ია. ბიზნესის მთლიანი ბრუნვა 2020 წლიდან (82 მლნ ლარი) 2024 წლამდე (99 მლნ ლარი) 20.7%-ით გაიზარდა. აქ საგულისხმოა, რომ ბრუნვის წილი რეგიონში 1.1%-ია.

მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინდიკატორია ის, რომ 2024 წელს გამოშვებული პროდუქცია (77 მლნ ლარი) ძალიან მიუახლოვდა მთლიან ბრუნვას (99 მლნ ლარი), მაშინ როცა 2020 წელს გამოშვება ბრუნვის მხოლოდ ნახევარი იყო. ეს ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში მკვეთრად გაიზარდა ადგილზე შექმნილი დამატებული ღირებულების წილი.

2021 წლიდან მოყოლებული, ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები ყოველწლიურად იზრდება და 2024 წელს 8 მლნ ლარს მიაღწია (2020 წელთან შედარებით გაორმაგდა). თუმცა, დაბალია დმანისის წილი რეგიონის მთლიან ინვესტიციებში და 2.6% -ს შედგენს. ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება მუნიციპალიტეტის წილს გამოშვებასა (1.3%) და ბრუნვაში (1.1%). აღნიშნული დისპროპორცია პოზიტიურია — ის ადასტურებს, რომ დმანისში მიმდინარეობს კაპიტალის აქტიური დაგროვება, რაც მომავალ წლებში წარმოების კიდევ გაფართოების წინაპირობას ქმნის.

მუნიციპალიტეტის მთავარი ძალა ბიზნეს სუბიექტების მაღალი სიცოცხლისუნარიანობა (30%), მზარდი კაპიტალური ინვესტიციები (8 მლნ ლარი) და რეგიონულ დონეზე კონკურენტუნარიანი შრომის ანაზღაურებაა (1,654 ლარი). პროდუქციის გამოშვების მკვეთრი ნახტომი 2024 წელს მიუთითებს , რომ წარსულში განხორციელებულმა ინვესტიციებმა რეალური შედეგის მოცემა დაიწყო. დმანისის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი რესურსული პოტენციალის (აგრობიზნესი, ეკოტურიზმი, წიაღისეული) ეფექტიანი ათვისება და საინვესტიციო შეთავაზებების დივერსიფიკაცია. კაპიტალის მოდინების სტიმულირება და მიზნობრივი ბიზნეს-პაკეტების შემუშავება ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნას და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მასშტაბის თვისებრივ გაფართოებას.

ცხრილი: დმანისის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის დინამიკა

ინდიკატორი	2020	2021	2022	2023	2024	ქვეყნ ჯამი 2024	რეგ.წილი
გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი	43	57	31	42	77	6,111	1.3%
ბრუნვა, მლნ ლარი	82	68	79	93	99	8,827	1.1%
საქონლისა და მომსახურების ყიდვები, მლნ ლარი	51	26	55	70	58	6,579	0.9%
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, მლნ ლარი	4	3	4	7	8	325	2.6%
დაქირავებულთა რაოდენობა, ერთეული	176	282	381	420	445	44,434	1.0%
საშუალო თვიური ხელფასი, ლარი	1,246	1,343	992	1,439	1,654	1,693	

სოფლის მეურნეობა. მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 119,880 ჰა, საიდანაც სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა 85,947.8 ჰა. მათ შორის კერძო საკუთრებაშია 5,185.8 ჰა. ხოლო სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 80,762 ჰა. დანიშნულების მიხედვით მიწების გამოყენება შემდეგნაირად ხდება: საძოვარი 59,583 ჰა, სათიბი - 13,331 ჰა, სახნავი - 12,072 ჰა და მრავალწლიანი კულტურები - 962 ჰა. ფართობების 54% (6,467 ჰა) კი

სათიბად არის გამოყენებული. საწარმოო დანიშნულებით გამოიყენება მეცხოველეობის პროდუქცია ხორცი, ყველი, რძე, მატყლი. განვითარებულია, როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა პირუტყვის წარმოება, 338 ფერმერული მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. შედარებით ნაკლები სარეალიზაციო დანიშნულება გააჩნია ფრინველს, კვერცხს და ხორცს. პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად თბილისის ბაზარზე ხდება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით საკვანძო ბაზარს წარმოადგენს. რადგან მუნიციპალიტეტში განვითარებულია მესაქონლეობა შესაძლებელია შეიქმნას რძის მიმღები და გადამამუშავებელი ქარხნები, ასევე საქონლის სასაკლაო მეურნეობა. ერთ-ერთი განვითარებული დარგია მეცხვარეობაც. შესაძლებელია შეიქმნას მატყლის დამამზადებელი-გადამამუშავებელი საამქრო. საზაფხულო საძოვრებზე დიდი რაოდენობით შემოედინება ცხვარი და საქონელი მომთაბარე მოსახლეობის მიერ სხვა რეგიონებიდან. მუნიციპალიტეტს აქვს რესურსი, რომ მეცხოველეობა უფრო განავითაროს, თუმცა ვეტერინალური მომსახურეობის დეფიციტი და დაბალპროდუქტიული პირუტყვი გარკვეულწილად აფერხებს პროგრესს. მუნიციპალიტეტში არსებობს მექანიზაციის მომსახურების ცენტრი (შპს „მექანიზატორი“), რომელიც მომსახურეობას უწევს ყველას ვინც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული, თუმცა ტრაქტორების რაოდენობა სამუშაოების პიკის დროს არასაკმარისია. ამასთანავე, მომსახურეობის მაღალი ფასი მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელს ხდის ამ მომსახურეობას, არსებული ტექნიკური ბაზა კი საჭიროებს გაძლიერებას.

არსებული სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური კონსულტაციებს უწევს ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხებზე, როგორც მემინდვრეობაში ასევე მეცხოველეობაში და მეფუტკრეობაში, აგრეთვე სამინისტროსა და მთავრობის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე და პროექტებზე. კონსულტაციებს უწევს როგორც ადგილზე (ოფისში), ასევე სოფლებში გასვლით და მოსახლეობასთან შეხვედრებზე. შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობით შესაძლებელი გახდება, მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქცია ადგილზე გადამუშავდეს და სასაქონლო სახით მიეწოდოს ბაზარს, ეს კი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში დამატებითი თანხების მოზიდვას. მუნიციპალიტეტის აგრარული სექტორის განვითარების მთავარი შემაფერხებელი მიზეზი საირიგაციო

სისტემების არასრულყოფილი მუშაობაა, რომელსაც სრული რეაბილიტაციის და დატვირთვის შემთხვევაში შეუძლია გაასარწყავიანოს 3,900 ჰა სახნავი ფართობი, ამჟამად კი მხოლოდ 800 ჰა ექვემდებარება მორწყვას. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც სახნავი ფართობები სათიბებად და საძოვრებად გამოიყენება. საერთო ჯამში, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია, ამ სფეროში არსებული პრობლემების და გამოწვევების დაძლევა, კერძოდ: ნაკვეთების გამოყენების დაბალი კოფიციენტი, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია საირიგაციო სისტემის არაეფექტურობით და ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობით, ხოლო მეორეს მხრივ ხარისხიანი სარგავ სათესლე მასალის და შხამ ქიმიკატების დეფიციტის გამო. საირიგაციო სისტემის სრული რეაბილიტაციით შესაძლებელი გახდება სახნავი ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილის გასარწყავიანება, რაც შეამცირებს გამოუყენებელი ფართობების რაოდენობას და გაზრდის პროდუქტიულობას. პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება გადამუშავებას, პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამუშავდება სხვა რეგიონებში. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას (მემინდვრეობამეცხოველეობა-მეღორეობა-მეფრინველეობა), რომელიც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის რაოდენობას. ვეტერინალური მომსახურეობის პრობლემები თავს იჩენს მეცხოველეობის პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დარგის განვითარებას. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია. ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და ფერმერების დონეზე ექსტენციური მომსახურეობის ეფექტური მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და

ხარისხს. ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა გარემოება, რომელთაგან მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები, ამოქმედდა მთის განვითარების კანონი, მუდმივად იქმნება დროებითი სამუშაო ადგილები. ინფრასტრუქტურულ და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებული პროექტებზე ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

ტურიზმი. ეკონომიკური განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება. დმანისის მუნიციპალიტეტი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ექსპონატებისა და თავის ისტორიული წარსულით, გეოგრაფიული და ეკოლოგიური მდგომარეობით ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის იქნება მიმზიდველი, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სასტუმროების მშენებლობა-მოწყობა. მნიშვნელოვანია ოჯახური სასტუმროების განვითარება და ხელშეწყობა.

მიუხედავად დიდი ტურისტული პოტენციალისა, მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა ტურისტული მარკირება და ტურიზმის განვითარებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ასევე, დასაგეგმია ტურისტული მარშუტები. ძეგლთა უმრავლესობა საჭიროებს მოკვლევა, შესწავლას და შემდგომ დაკონსერვება/რესტავრირებას. დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ჩართულობით 2023 წელს დაიწყო პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების ცნობარ-კატალოგი“, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე თითოეული კულტურული ძეგლისა და ობიექტის მდებარეობის მოძიება, GPS კოორდინატებით დაზუსტება-დადგენას და სხვადასხვა თემატურ(ტოპოგრაფიული მონაცემები და რუკების შექმნა) რუკებზე განთავსება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების დაზიანების ხარისხის შეფასებასა და გადარჩენითი-საკონსერვაციო პროცესის სარეკომენდაციო წინადადებების მომზადებას; ძეგლებზე არსებული წარწერების - ეპიგრაფიკული პირების გადაღებას. პროექტი არის სამ წლიანი და დასრულებისას მუნიციპალიტეტს ექნება ისტორიულ-ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური ძეგლების შესახებ თანამედროვე მეცნიერული, ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებით შემუშავებული გზამკვლევის ტიპის ნაშრომი.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ ფუნქციონირებს 6 კვების ობიექტი (კაფე-რესტორანი), აქედან 3 მდებარეობს ქალაქ დმანისში. 5 ბენზოგასამართი სადგური. 7 განთავსების ობიექტები, აქედან ოთხი საოჯახო ტიპის სასტუმრო: „დინარა“ – 2 ნომერი, ადგილი - 7, დასაქმებული - 1; საოჯახო სასტუმრო - “შვანრე ჰაუსი“ – 4 ნომერი, ადგილი - 10, დასაქმებული - 1 , „სალო“ – (4 საწოლი); სამი სასტუმრო: სოფელ კარაბულახის „სამოთხის კარი“, სასტუმრო „ნაბადი“ – 7 ნომერი, ადგილი - 17, დასაქმებული - 2; სასტუმრო „ლუკუმი“ - 7 ნომერი, ადგილი - 20, დასაქმებული - 1. სოფელ ახაში მიმდინარეობს ტურისტებზე გათვლილი სასტუმროს მშენებლობა.

დმანისის მუნიციპალიტეტი და მისი შემოგარენი 190-ზე მეტი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლისგან შედგება, რომელიც შუა საუკუნეებით თარიღდება. მუნიციპალიტეტში მდებარეობს იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანილი მთა, სადაც 1,800,000 წელზე მეტი ხნის პირველი ევროპელები, ზეზვა და მზია აღმოაჩინეს.

რეგიონში ჩამოსული ტურისტებისთვის დმანისის მუნიციპალიტეტი შესანიშნავ საწყის პუნქტს წარმოადგენს. ამ რეგიონში მდებარე უამრავი ისტორიული და არქიტექტურული სანახაობის გარდა, უფრო აქტიური და გარე ტურიზმის მოყვარულთათვის ბევრი სხვა შესაძლებლობაც არსებობს. ქართულ-სომხურ საზღვარზე ტურისტული მარშრუტების შესაქმნელად პირველი ნაბიჯები უკვე იდგმება. საოჯახო სასტუმროებში ინფრასტრუქტურა და ახალი მომსახურები შეიქმნა ან/და გაუმჯობესდა, რათა რეგიონში ჩამოსულმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო სტუმრებმა თბილი დახვედრა მიიღონ. ყველა ტურისტული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია დმანისსა და მის სომეხ მეზობლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა და მისი მოპოვება რეგიონში მდებარე ტურისტულ ცენტრებშია შესაძლებელი.

მუნიციპალიტეტში შესაძლებელია განვითარდეს სამთო და სამონადირეო ტურიზმი. ნაქალაქარის არსებობა საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს დააინტერესოს ტურისტები და განავითაროს ტურისტული ინფრასტრუქტურა.

უახლოეს მომავალში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით, ეკო-მარშრუტებისა და უფრო მეტი ტურისტული ოფისის ორგანიზებით, კიდევ უფრო

გაუმჯობესდება ტრანს-სასაზღვრო რეგიონის ტურისტული პოტენციალი. შემდგომში აგრო-ტურიზმის განვითარებით რეგიონში გაიზრდება დასაქმება, რაც ხელს შეუწყობს ამ ტერიტორიიდან ახალგაზრდების მიგრაციის შემცირებას.

მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა გამოიხატება შემდგომში: საავტომობილო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ხიდების მშენებლობა, ბანერებისა და რეკლამის გაკეთება იმისა თუ რა ადგილებია ტურისტებისთვის საინტერესო, სკვერებისა და დასასვენებელი პარკების მოწყობა, ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, ტურისტული ადგილების დასუფთავება და მყარი ნარჩენების გატანა.

ეკონომიკური სექტორის ძირითადი გამოწვევები შესაძლებელია შვაჯამოთ შმდეგნაირად: ვეტერინარული მომსახურების დეფიციტი, დაბალპროდუქტიული პირუტყვი, სარწყავი სისტემების ნაკლებობა, საკონსულტაციო სერვისების დეფიციტი, გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე. ხოლო სექტორის მომავალი შესაძლებლობებია: აგრო, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება, მწვანე ენერგეტიკის გამოყენება, მეცხოველეობის გაფართოება.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

დმანისში გადის სახელმწიფო მნიშვნელობის გზები: ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის მიმართულებით 44 კილომეტრიანი მონაკვეთი სომხეთის მიმართულებით და დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის მიმართულებით 70 კილომეტრიანი მონაკვეთი წალკისა და თეთრიწყაროს მიმართულებით, სარეაბილიტაციოა 20 კმ.

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის მომარაგების სისტემაში საერთო ჯამში არის 60 დიდი და პატარა სათავე, ყველა მათგანი ფუნქციონირებს და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. 2021-2026 წლებში მუნიციპალურმა განვითარების ფონდმა სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა ქ. დმანისის და 22 სოფლის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილების, რეზევუარებს და შიდა ქსელებს. ასევე დმანისისდმუნიციპალიტეტის მერიამ სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა 16 სოფელის სასმელი წყლის სისტემას, ხოლო სარეაბილიტაციოა 19 სოფელში.

საკანალიზაციო სისტემა მოწყობილია მხოლოდ ქ. დმანისში და მისი საერთო სიგრძე შეადგენს 16.5 კმ-ს. სისტემა ფუნქციონირებს დამაკმაყოფილებლად.

დმანისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა შეადგენს 212,9 კმ, აქედან რეაბილიტირებულია 28,4 კმ, ხოლო სარეაბილიტაციოა 186,15 კმ.

ელექტროენერგია მიეწოდება ყველა სოფელს და მოსახლეობას ამ მხრივ პრობლემა ნაკლებად აქვთ. რაც შეეხება გაზიფიცირებას 58 დასახლებულ პუნქტიდან ბუნებრივი აირი მიეწოდება ქ. დმანისს და 41 სოფელს და 16 სოფელს არ მიეწოდება. თითქმის დასრულებულია 58-ივე დასახლებულ პუნქტში გარე განათება.

ქ. დმანისში არის 3 მინი სტადიონი, 1 დიდი სტადიონი, 7 სკვერი, ხოლო სოფლებში 20 მინი-სტადიონი და 14 სკვერი.

გარემოს დაცვა

ტყით დმანისის მუნიციპალიტეტში 23,936 ჰა ფართობია დაფარული, რაც მისი მთლიანი ტერიტორიის 20%-ს შეადგენს. ეს ტყეები ძირითადად ტყეკაფის კატეგორიას განეკუთვნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტიურად აღარ არსებობს ჭალისპირა ტყეები (დარჩენილია დაახლოებით 0,5 ჰა) და ქარსაცავი ზოლები, რომელსაც ამჟამად 10 ჰა-მდე უჭირავს. მუნიციპალიტეტის ტყეებში ადგილი აქვს სოციალურ და მოვლით ჭრას.

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ტყეებში ბინადრობს წითელ ნუსხაში არსებული სახეობების ცხოველები.

მუნიციპალიტეტში გავრცელებულ ბუნებრივ საფრთხეებს განეკუთვნება: ძლიერი ქარი, მიწისძვრა, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა/წყალმოვარდნა, ღვარცოფი, ქვა-ზვავი, გვალვა და სეტყვა. გვალვიანობა დამახასიათებელია ივლისსა და აგვისტოში.

საკანალიზაციო კოლექტორები გააჩნია მხოლოდ ქ. დმანისს და მათი მდგომარეობა სავალალოა, არ არსებობს წყალგამწმენდი, შესაბამისად ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩაედინება მდინარეებში.

ნარჩენების შეგროვება/გატანა/განთავსებას ახორციელებს ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი. ნარჩენების საბოლოო განთავსება ხდება ქ. ბოლნისის მიმდებარე

ტერიტორიაზე ანდრეევკის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე (გამოყოფილია ტერიტორია ნარჩენების განსათავსებლად რომელსაც ოპერირებს შპს ,,მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“). დასუფთავების სამსახური ემსახურება დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 70%. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად ააიპ დმანისის სერვის ჯგუფს ყავს ოთხი მანქანა საიდანაც ერთი არის 7მ3-იანი, ორი 13 მ3-იანი და ერთი 10მ3იანი. ასევე ერთი მყარი ნარჩენების გადასატანი სპეც მანქანა თავისი ოთხი კონტეინერით.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს 100% კონტეინერული სისტემა. კონტეინერების რაოდენობა მთლიანად შეადგენს 715 ერთეულს, საიდანაც 106 ლითონისაა, ხოლო 609 პლასტმასის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე არ ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცემული ლიცენზიების რეესტრი:

№	ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	რესურსის სახეობა	მუნიციპალიტეტი	ლიცენზიის მფლობელი	საიდენტიფიკაციო/ პირადი ნომერი	ოქმის ნომერი/ ბრძანების ნომერი	ლიცენზიის რეგისტრაციის და მოქმედების ვადა	ფართობი
1	100927	მდ. შავიწყლის (ყარაბულაღი) კანონმი (ბუნებრივი წყაროებიდან) მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის მოპოვება (დმანისის რ-ნი, სოფ. ახას და ქვემო ყარაბულაღის მიდამოებში)	მტკ (წყალმომარაგება)	დმანისი	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"	ს/ნ 412670097	№4 21.01.2006 102 15.02.2006 1-1/2501 02.11.09 1-1/1037 17.06.10	21.06.10 15.02.26	15 მ-იანი რადი-უსი
2	1002790	„ბაზაკლოს" ტუფის მოპოვება (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაზაკლოს მიმდებარედ)	ტუფი	დმანისი	შპს „ართა"	ს/კ 405076162	15.06.15 1160/ს 21.07.15	21.07.15 22.07.35	12.3 ჰა
3	1002791	„ბოლნისის" (უბანი ჩრდილო-გეზელდაგი) ტუფის (მოსაპირკეთებელი) მოპოვება (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფახრალოს მიმდებარედ)	ტუფი	დმანისი	შპს „ართა"	ს/კ 405076162	15.06.15 1161/ს 21.07.15	21.07.15 22.07.35	2.96 ჰა
4	1004877	„ფშანის" ტორფის მოპოვება (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. განახლება)	ტორფი	დმანისი	ფ/პ რ.რ.		№30 21.09.10 1 1/1666 08.10.10 162/ს 21.11.14 1434/ს 14.09.17	14.09.17 08.10.30	81,88 ჰა
5	10000150	მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომარეთის ტერიტორიაზე)	მტკ	დმანისი	შპს „ბუკაგრო"	ს/კ 405215057	05.07.18 1224/ს 16.08.18	16.08.18 17.08.43	0.07 ჰა
6	10000365	მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო ყარაბულახის მიმდებარედ)	მტკ	დმანისი	შპს „ქართული არყის კომპანია"	ს/კ 432543544	17.12.12 13/60 25.01.13 1076/ს 20.07.17 1853/ს 22.11.17 1695/ს 21.11.18	21.11.18 26.01.38	0.07 ჰა
7	10001507	ვულკანური ფერფლის (სამენი მასალა) (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. საუკას ტერიტორიაზე)	სამშენებლო	დმანისი	ფ/პ პ.მ.		№14 17.04.12 13/56 05.06.12 1895/ს 28.12.18 635/ს 15.06.20	15.06.20 06.06.32	4.88 ჰა
8	10002045	დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. სარკინეთის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება	მტკ	დმანისი	შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია"	ს/ნ 404550525	24.09.19 595/ს 29.04.21	29.04.21 30.04.46	0.07 ჰა
9	10002995	„ქარიანის" ვულკანური ფერფლის მოპოვება (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქარიანის მიმდებარედ)	სამშენებლო	დმანისი	ფ/პ ე.შ.		17.02.14 227 01.04.14 912/ს 13.06.16 875/ს 01.08.22	01.08.22 02.04.34	0.73 ჰა
10	№186	ვულკანური ფერფლის (სამენი მასალა) (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. საუკას ტერიტორიაზე)	ვ/ფ (სხვა სამენი)	დმანისი	შპს "ენ კომპანი 1984"	ს/ნ 400345854	№14 17.04.12 13/56 05.06.12 1895/ს 28.12.18 290/ს 01.03.21 #186 24.11.22	24.11.22 06.06.32	4.88 ჰა
11	№378	დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. განახლების (სოფ. სარკინეთი) მიმდებარე ტერიტორიაზე, „განახლების" ანდეზიტ-დაციტის (საღორღე ნედლეული) მოპოვება	ანდეზიტ-დაციტი (საღორღე)	დმანისი	შპს „ლუკას კაპიტალ გრუპ"	ს/ნ 406033457	07.02.23 #378 06.03.23	06.03.23 07.03.32	10290 კვ.მ
12	№734	ქალაქ დმანისის მიმდებარე ტერიტორიაზე, „დმანისის" ტორფის მოპოვება	ტორფი	დმანისი	შპს "ქართული ტორფი და სუბსტრატები"	ს/ნ 406422839	14.05.21 832/ს 24.06.21 #734 10.08.23	10.08.23 25.06.26	67980კვ.მ
13	№1143	სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება (ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში)	ოქრო	ბოლნისი დმანისი	შპს „არ ემ ჯი გოლდი"	ს/კ 225359947	№5 29.02.12 13/28 21.05.12 13/137 25.02.13 244, 243 07.04.14 167/ს 25.11.14 688/ს 17.06.22 #1143 10.04.24	10.04.24 02.01.42 ლიცენზიის დაწყება 01.01.15	193.76 ჰა
14	№1230	დმანისის მუნიციპალიტეტში, ამამლოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბოსლების მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მინერალური წყლის (ჩამოსხმის მიზნით) მოპოვება	მტკ	დმანისი	შპს „დმანისი 2023"	ს/ნ 428896705	25.04.24 #1230 23.05.24	23.05.24 24.05.49	0.07 ჰა
15	№1466	დმანისის მუნიციპალიტეტში, ამამლოს ადმინისტრაციულ ერთეულში, „დამბლუდის" ოქრო-პოლიმეტალური საბადო, სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო-პოლიმეტალები) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	ოქრო	დმანისი	სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი"	ს/ნ 405117494	18.09.24 #1466 20.09.24	20.09.24 21.09.49	3 288 570 კვ.მ
16	№1492	„ქარიანის" ვულკანური ფერფლის მოპოვება (დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქარიანის მიმდებარედ)	ვულკანური ფერფლი	დმანისი	ი/მ "ე.შ."		17.02.14 227 01.04.14 915/ს 13.06.16 244/ს 19.02.19 #794 05.09.23 #879/ს 08.10.24 #1492 16.10.24	16.10.24 02.04.34	0.72 ჰა

წყარო: *სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო*

ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი საავადმყოფო შპს ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დმანისის სამედიცინო დაწესებულება" (24 ექიმი

და 17 ექთანი, 20 საწოლი); შპს ,,ავერსის კლინიკა“ დმანისის ფილიალი (3 ექიმი, 2 ექთანი) დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარეობს 10 ამბულატორია, მოსახლეობას ემსახურება 10 ოჯახის ექიმი, მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობის ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე უბნის სრული დაფარვა ერთი ექიმის მიერ შეუძლებელია. პაციენტების გადაყვანა ხდება მეზობელ რაიონსა და თბილისში. ქ. დმანისში განთავსებული სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დმანისის რაიონულ სამსახური“, რომელსაც ემსახურება 2 სასწრაფო დახმარების მანქანა, 8 ბრიგადა, სულ სამსახურში მუშაობს 8 ექიმი, 9 ექთანი, 6 მძღოლი, 1 სანიტარი.

მოსახლეობის რაოდენობიდან (დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2024 წლის 1 იანვრის სტატისტიკით შეადგენს 22,032 ათას მოსახლე) გამომდინარე არ არის საკმარისი 2 სასწრაფო დახმარების მანქანა. მუნიციპალიტეტში მდებარე არც ერთ კლინიკას არ ყავს რეანომობილი.

სოციალური მომსახურება

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის დახმარებას. მუნიციპალიტეტი ახორციელებს 22 სოციალურ პროგრამას, მათ შორისაა: ხანდაზმულთა მობილური ზრუნვის სერვისები („შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების ქვეპროგრამა“), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალური ასისტენტის სერვისი, „ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრი“, რომელიც ემსახურება განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვებს. დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ააიპ ,,დმანისის სათნოების სახლი“, რომელშიც ყოველდღიურად საკვებით მომსახურებას ღებულობს 100 ბენეფიციარი სამკომპონენტიანი კვებით, დაწესებულებაში მოქმედებს ბინაზე მიტანის სერვისი.

თითოეული მათგანი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ასევე, მოქმედებს ,,დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“, რომელიც ხელს უწყობს შშმ პირთა საზოგადოებაში გააქტიურებას, მათ სისტემატურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საბჭოში გაწევრიანებული არიან შშმ პირები, საჭიროების შემთხვევაში ხდება საბჭოს წევრების განახლება.

ყოველწლიურად მტკიცდება დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით ,,დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა“.

სოციალური სტატისტიკა:

სოციალურად დაუცველი პირების წილი მთლიან მოსახლეობაში მთლიან მოსახლეობაში შეადგენს 21 % - ს;

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა - 1306.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 788

მარჩენალდაკარგულები – 145
ომებში მონაწილეები და მათი ოჯახები – 205
იძულებით გადაადგილებული პირები – 540

ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტს ემსახურება სამი მუნიციპალური ავტობუსი ქ. დმანისი – თბილისი მიმართულებით, ადაპტირებული შშმ პირებისთვის; მგზავრობა უფასოა ვეტერანებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვისა და სტუდენტებისთვის. მუნიციპალური გადაადგილების სერვისი ხორციელდება შიდა ადმინისტრაციულ მიმართულებებში.

განათლება

სკოლამდელი აღზრდა-განათლება

დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 9 სტანდარტულ საბავშვო ბაღი, ერთი ალტერნატიული სათემო საბავშვო ბაღი და ორი სასკოლო მზაობის ჯგუფი. აქედან 8 საბავშვო ბაღი არის სრულად რეაბილიტირებული და მზად არის ავტორიზაციისათვის. სრულდება ორი სტანდარტული ბაღის მშენებლობა სოფელ ირგანჩაისა და სოფელ ამამლოში. სულ მუნიციპალიტეტის ბაღებში 421 აღსაზრდელი იღებს სკოლამდელ განათლებას, აქედან ქართველია 241 აღსაზრდელი, ხოლო აზერბაიჯანელი - 180.

მუნიციპალიტეტში ბუნებრივი მატების შედარებით დადებითი დინამიკაა, რაც ნიშნავს რომ ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილებით უზრუნველყოფის გამოწვევა არსებობს, განსაკუთრებით, აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სრულად რომ უზრუნველყოს სკოლამდელი ბავშვის მიღება, საჭიროა სოფლებში დამატებით 3 საბავშვო ბაღის ან ალტერნატიული ცენტრის მშენებლობა და კეთილმოწყობა. ამასთან, სოფელ ბოსლების საბავშვო ბაღი არის არასტანდარტული და სოფელი საჭიროებს ახალი ბაღის მშენებლობას.

საჯარო სკოლები

დმანისის მუნიციპალიტეტში 28 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა, მათ შორის, 16 სკოლა არის საშუალო და 12 არის საბაზისო.

მოსწავლეთა რაოდენობა 2,825-ია. ოთხი სკოლა, სკოლა სრულად რეაბილიტირებულია და მიმდინარეობს 3 სკოლის მშენებლობა/რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის პროცესი.

პროფესიული განათლება

მუნიციპალიტეტში არ არის უმაღლესი სასწავლებელი და შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღება ხდება ძირითადად თბილისში. სოფელ სარკინეთში ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი შვეიცარიულ-აგრარული სკოლა „კავკასია“, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მოკლე და გრძელვადიან პროფესიულ პროგრამებს, ფერმერობასა და რძის პროდუქტების წარმოებაში. ამ მიზნით სკოლას აქვს საკუთარი სასწავლო ფერმები და ყველის ქარხანა. დმანისში მოქმედებს ზურაბ ჟვანიას სახელობის ფილიალი, ასევე, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა უფასოდ დაეუფლოს როგორც ქართულ და ინგლისურ ენას.

კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა

დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურისა და სპორტისა სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს შემდეგი ობიექტები/ორგანიზაციები:

- სსიპ „დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფილიალი - დმანისის ნაქალაქარი მუზეუმ-ნაკრძალი, არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზი.
- ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“;
- ააიპ „დმანისის სამუსიკო სკოლა“;
- ააიპ „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური“;
- ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“.

ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრში“ ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე და სტუდია: ქორეოგრაფიული სტუდია, ფოლკლორული (ხალხური სიმღერების) სტუდია, საესტრადო სიმღერის სტუდია, სამეჯლისო ცეკვების სტუდია, ქართული ხალხური საკრავების წრე, ხატვის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხეზე კვეთის (ხალხური რეწვის) წრე. ცენტრთან არსებობს სამი ფოლკლორული ანსამბლი - „შგარიდა“, ქალთა ანსამბლი

„ირინოლა“, მოზარდთა ანსამბლი „კიდევაც დაიზრდებიან“; ინტერნაციონალური ანსამბლი ასევე, ორი ქორეოგრაფიული ანსამბლი - „დმანისი“ და „მართვე“. ცენტრს აქვს მოქმედი ფილიალი სოფელ გომარეთში, სადაც აღნიშნული წრეებიდან 2024 წლიდან ფუნქციონირებს ხატვისა და ქართული ცეკვის წრე. სულ ცენტრში ირიცხება 320 მოსწავლე, ქალაქ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 230 მოსწავლე, გომარეთის ფილიალი - 90 მოსწავლე.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის შენობა წარმოადგენს ერთგვარ კულტურის კერას, სადაც გვერდიგვერდ ფუნქციონირებს როგორც მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპი ასევე, სახელმწიფო დრამატური თეატრი და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს დაქვემდებარებული საექსპოზიციო დარბაზი. არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზში განთავსებულია 600-ზე მეტი ექსპონატი. მნახველთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 1200-1500-ია. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება, პოპულარიზაცია და სხვ. აღნიშნულ შენობაში, სსიპ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მფლობელობაში არსებულ ფართს უტარდება რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის პროცესი. რაც შეეხება გომარეთის ფილიალს, ცენტრი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.

დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ჩარიცხულ მოსწავლეებს, რომლებიც დადიან სოფლებიდან ემსახურება ტრანსპორტი. მიუხედავად ამისა, წრეების ხელმისაწვდომობის პრობლემა დგას აზერბაიჯანულ თემში, რადგან სოფლები ძირითადად მოშორებითაა ქალაქ დმანისიდან. მიუხედავად ამისა, წრეების ხელმისაწვდომობა კვლავ გამოწვევად რჩება აზერბაიჯანულ თემში. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 ფოლკლორული ანსამბლი, 2 ქორეოგრაფიული და 1 ინტერნაციონალური ანსამბლი.

ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლაში, რომელსაც აქვს ორი ფილიალი სოფელ ვარდისუბანსა და სოფელ განთიადში, მიმდინარეობს საფორტეპიანო და საგუნდო სწავლება, 2024 წლიდან სკოლას დაემატა ახალი, ვიოლინოს შემსწავლელი წრე, ხოლო 2025 წლიდან გიტარის წრე. საგუნდო სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ ცენტრალურ

ფილიალში, შესაბამისად 2024 წლიდან სამუსიკო სკოლა უზრუნველყოფს სოფლის წარმომადგენელი ახალგაზრდების ტრანსპორტირებას, რომლებიც ირიცხებიან გუნდში. სამუსიკო სკოლაში სულ ირიცხება 100 მოსწავლე.

მიუხედავად იმისა, რომ ფილიალებში სწავლება შეუფერხებლად მიმდინარეობს სოფელ ვარდისუბნის ფილიალის შენობა საჭიროებს რემონტს, შესაბამისი პირობების შექმნას. ასევე, განსაახლებელია სამეცადინო ინვენტარი.

კულტურა

კულტურულ-ისტორიული და ბუნების ლანდშაფტური ღირსშესანიშნაობებით მდიდარი დმანისის მხარე, შეიძლება ითქვას რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პოტენციურად მზარდი, ტურისტული ზონაა საქართველოში. ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში შემავალი დმანისის მხარე ცნობილია თავისი უნიკალური ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლებით (200-მდე ისტორიულ-კულტურული ძეგლი) განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრებით და ციხესიმაგრეებით, სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლებით – მსოფლიოში უძველესი ჰომინიდების სადგომით დაწყებული, ადრესამიწათმოქმედო კულტურის, ბრინჯაოს ეპოქის, ანტიკური და ქრისტიანული ხანის და მასში განსაკუთრებით ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლებით. სულ მცირე, ყოველივე ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დმანისის ნაქალაქარის მახლობლად გამოვლენილი საქართველოში უძველესი და ერთადერთი როტონდის ტიპის, წრიულ-გუმბათოვანი გეგმარების ტაძრის ნაშთები, რომელიც V საუკუნით თარიღდება; დმანისის შუა საუკუნეების უნიკალური ნაქალაქარი, რომელიც თავისი ეპოქის დაწინაურებულ ქალაქს წარმოადგენდა ამიერკავკასიის მასშტაბით აქ განვითარებული საქალაქო ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრებით. ამჟამადაც, ნაქალაქარად ქცეულ ტერიტორიაზე თვალხილულად ჩანს ძველი ქალაქის მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური მოსახლეობის თანაცხოვრების ერთიანი სურათი – ქრისტიანული, არაბულ-მუსლიმური რელიგიური შენობების ნაშთები, ქალაქის მცხოვრებთა სამაროვნის მემორიალური ძეგლები, სახვით ხელოვნებაში გამოხატული სხვადასხვა ტრადიციათა და კულტურის ელემენტების საოცარი სინკრეტიზმი.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გახსნილია საველე-არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს უშუალოდ მიადევნოს თვალი არქეოლოგების მუშაობის პროცესს. 2019 წელს ნაქალაქარს ჰყავდა 4649 ვიზიტორი, 2020 წელს (პანდემია) - 496, 2021 წელს 700 ვიზიტორი, 2022 წელს 3760 ვიზიტორი, 2023 წელს - 9683, 2024 წელს - 5508, 2025 წელს - 6720.

აღსანიშნავია ის, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს გერმანელების ნაკვალევიც. ცნობილია, რომ სოფელი მთისძირის მახლობლად, ალექსანდრე ვონ კუჩენბახმა (1835-1909) დაარსა მამულტის მამული. იგი თბილისის 1927 წლის რუკაზე დატანილია როგორც სოფელი კუჩენბახი. სოფელი კუჩენბახი ყველისა და კარაქის მნიშვნელოვანი მწარმოებელი იყო, რომელიც თბილისის მაღაზიებში იყიდებოდა. გამოყავდათ ასევე მსხვილფეხა პირუტყვი და ცხენები. დასახლებული იყო ძირითადად კუჩენბახის ოჯახის და სხვა მრავალი გერმანელი ხელოსნის ოჯახების წარმომადგენლებით. დასახლებაში ფუნქციონირებდა გერმანული სკოლაც. კუჩენბახის მამული კომუნისტების მიერ იქნა განადგურებული. ამჟამად, სოფელ ტყისპირიში მამულისგან შემორჩენილია ძირითადი შენობები (სახლები, სკოლა, სამლოცველო „გერმანული კირხე“, ბეღელი), პარკი, სასაფლაო და ასევე ე.წ. სატყეო შენობა. სოფელ იფნარში (ვალდჰაიმი, დაარსდა 1911 წელს) დღემდეა შემორჩენილი გერმანული ქუჩა. ქალაქ დმანისში არსებობს ისტორიული გერმანული უბანი, რომელიც მოიცავს ცურტაველისა და 9 აპრილის ქუჩებს. ამ ქუჩებზე მდებარეობს მე-19 საუკუნის ბოლოს აგებული 15 ტრადიციული გერმანულ საცხოვრებელი სახლი. სოფელი პანტიანი, რომელსაც გერმანულად ბირნტალს უწოდებენ, დმანისის დასავლეთით მდებარეობს. ყველისა და სხვა რძის პროდუქტის წარმოების მიზნით, 1925 წელს, ბოლნისის/კატარინენფელდის მოსახლეებმა აქ მიწის ნაკვეთები შეიძინეს.

ახალგაზრდობა

მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მხარდაჭერა ხორციელდება ერთი პროგრამისა და 4 ძირითადი ქვეპროგრამის ფარგლებში. თითეული მათგანი მიმართულია ახალგაზრდების უნარების განვითარებაზე, ჩართულობის გაზრდაზე, განათლების

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და კულტურული, სპორტული და შემოქმედებითი აქტივობების წახალისებაზე:

- პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობის ქვეპროგრამა
- წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამა
- ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომელიც მიმართულია ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის პოპულარიზაციისკენ.
- წარმატებული და ნიჭიერი ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქვეპროგრამა
- ინიციატივების თანადაფინანსება, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდა პირების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება.

ინიციატივების თანადაფინანსება, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდა პირების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება.

ახალგაზრდების თხოვნით, შეხვედრებისა და სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებისათვის მუნიციპალიტეტმა გამოყო სპეციალური სივრცე, რომელიც უკვე იქცა ახალგაზრდული ინიციატივების განვითარების პლატფორმად. ახალგაზრდული სივრცე-მედიათეკა არის ადგილი, სადაც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას აქვს შესაძლებლობა, როგორც არაფორმალური განათლების მიღების ასევე, საკუთარი ინიციატივებისა თუ იდეების დაგეგმვა-განხორციელების. სივრცე ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის, ვინც ორიენტირებულია ახალგაზრდების კომპეტენციებისა და შესაძლებლობების ამაღლება/რეალიზებაზე. ახალგზრდული სივრცის არსებობა ხელს უწყობს ახალგაზრდობის სოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს, რაც

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის. საკუთარი სივრცის არსებობა მათ ჰმატებს თავდაჯერებულობას და მოტივაციას. ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილებები, ცოდნა და იყვნენ მუდმივი ცვლილებების აგენტები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სივრცე ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას ითანამშრომლონ სხვა ქვეყნის წარმომადგენელ თანატოლებთან. აღნიშნული სივრცე საჭიროებს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს და ახალგაზრდების მოთხოვნიდან გამომდინარე, ტექნიკურ აღჭურვას.

დმანისის მუნიციპალიტეტში არსებობს დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული სათათბირო, რომელიც 18 წევრისგან შედგება, რომელიც ფუნქციონირებს და წარმოადგენს პლატფორმას, და აერთიანებს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აქტიურ ახალგაზრდებს. მისი ძირითადი მიზანია ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში, ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება მუნიციპალიტეტის მერიისთვის. სათათბირო ასევე ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ აქტივობას, ხელს უწყობს ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელებას და ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას მუნიციპალიტეტში.

სპორტი

დმანისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია ა(ა)იპ სპორტსკოლა, სადაც სხვადასხვა სპორტულ სექციებში ირიცხება 500 მდე სპორტსმენი. სპორტსკოლაში მოქმედებს, შემდეგი სექციები: ფეხბურთი, ძიუდო, შერეული ორთაბრძოლები, მკლავჭიდი, ფრენბურთი, ჭადრაკი, კრივი, კიკბოქსინგი, მაგიდის ჩოგბურთი. სამწვრთნელო პროცესში ჩართულნი არიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები. სპორტულ სკოლას აქვს ფილიალები სოფელ განთიადში, სოფელ გომარეთში, სოფელ კარაბულახში, ქვემო ოროზმანში და ა.შ. სოფელ განთიადში რეაბილიტირდა სპორტული საჭიდაო დარბაზის, სოფელ გომარეთის სამწვრთნელო ჯგუფისათვის ახლადაშენებულ კულტურის ცენტრში გამოიყო შესაბამისი სავარჯიშო ფართი.

2022 წლის ბოლოდან, ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ნორჩი ფეხბურთელების ხელშეწყობის მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტსა და შპს "საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა"-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც ქალაქ დმანისში ფუნქციონირება დაიწყო დინამოს აკადემიის სამწვრთნელო კლუბმა. დღეის მონაცემით სერვისით სარგებლობს 33 პატარა ფეხბურთელი, რომელთაც სრულად აფინანსებს მუნიციპალიტეტი.

ასევე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, გუნდური სპორტის განვითარებისა და რაგბის პოპულარიზაციის მიზნით, დაარსდა რაგბის საბავშვო (საფესტივალო) კლუბი „დმანისის ყოჩები“, სადაც ბავშვები სრულიად უფასოდ ერთვებიან სამწვრთნელო პროცესში. დღეის მდგომარეობით კლუბში ირიცხება 50 მდე სპორტსმენი.

2024 წლიდან, ააიპ ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლის ბაზაზე დაარსდა ფეხბურთის გუნდი „დმანისი“, რომელიც უკვე მონაწილეობას იღებს რეგიონული მეხუთე ლიგის თამაშებში.

ამ დროისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი და რეაბილიტირებულია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის - 50%. დამატებით საჭიროა სოფლებში 4 მინი სტადიონისა და სპორტული დარბაზების მშენებლობა.

სპორტსმენთა რაოდენობიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე ქ. დმანისს ესაჭიროება სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომლის არარსებობა იწვევს შემდეგ პრობლემებს: დმანისის მუნიციპალიტეტიდან ინტენსიურად ხდება ახალგაზრდების გადინება; მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სპორტსმენებს არ აქვთ თანამედროვედ აღჭურვილი სივრცე, სადაც შეძლებენ სპორტული ღონისძიებებისათვის მომზადებას; პირთა წრეს, რომლებსაც სამედიცინო თვალსაზრისით ესაჭიროებათ სარეაბილიტაციო პროცედურები, მათ შორის ცურვა, ვერ ახერხებენ აღნიშნული სერვისის მიღებას ადგილობრივ დონეზე და უწევთ სხვა ქალაქებში ვიზიტი, მაგ: მსგავსი ინფრასტრუქტურა მდებარეობს მარნეულში და რუსთავში, სადაც მოსახლეობას უწევს დამატებით 70 დან 130 კილომეტრის გავლა, რაც დისკომფორტს უქმნის მათ, იწვევს

ზედმეტ ხარჯს და დროის კარგვას. ახალგაზრდებისა და სპორტსმენების გადინება ხელს უშლის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას, მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ განხორციელდეს მასშტაბური პროექტები, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესის დაინტერესებას რეგიონით, ტურიზმის განვითარებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, ქალაქ დმანინსში დაგეგმილია სპორტული კომპლექსის და მოედნის მშენებლობა.

ყოველი ზემოთ აღნიშნული სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 1029 ადამიანი.

მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას ადგილზე შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო მომსახურება შემდეგ საჯარო დაწესებულებებში:

- იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო და საჯარო რეესტრები, ნოტარიუსი;
- არქივი;
- პრობაციის ეროვნული ბიურო;
- დმანისის მაგისტრანტი სასამართლო;
- სახანძრო სამაშველო სამსახური;
- შსს დმანისის რაიონული სამმართველო;
- დმანისის სასწრაფო დახმარება;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დმანისის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური;
- სურსათის უვნებლობის სამსახური;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის დმანისის სატყეო უბანი;

- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო დმანისის მუნიციპალური განყოფილება, დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

პრობლემების ხის ანალიზი

დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში გამოვლენილი გამოწვევების სისტემური გააზრების მიზნით განხორციელდა პრობლემების ხის ანალიზი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ძირითადი (ცენტრალური) პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და შესაძლო შედეგები.

პრობლემების ხე



ხედვა, მიზნები და ამოცანები

ხედვა

2037 წელს დმანისი არის მდგრადი, ინკლუზიური და მეწარმეობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტი, სადაც 1.8 მილიონი წლის ისტორია ჰარმონიულად ერწყმის აგროინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიურ სერვისებს. განვითარებული ინფრასტრუქტურა და ეკოლოგიურად სუფთა გარემო ქმნის ტურისტულად მიმზიდველ და ეკონომიკურად ძლიერ სივრცეს, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობა მუდმივად იზრდება.

პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

პრიორიტეტი 1. : უსაფრთხო და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა და გარემოს დაცვა

მიზანი 1.1: საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის ზრდა

აღნიშნული მიზნის ქვეშ გათვალისწინებული ღონისძიებები უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის თანამედროვე მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაზე თანაბარ ხელმისაწვოდომობას.

ამოცანა 1.1.1 - ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია

ამოცანა 1.1.2 - წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზება

ამოცანა 1.1.3 - ენერგოეფექტური და განახლებად ენერგიაზე დაფუძნებული პროექტების განხორციელება

მიზანი 1.2. საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

აღნიშნული მიზანი ემსახურება დმანისის მუნიციპალიტეტის ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული გარემოს ჩამოყალიბებას.

ამოცანა 1.2.1 - საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა

ამოცანა 1.2.2 - სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია და მოდერნიზება

ამოცანა 1.2.3 - კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და განახლება

ამოცანა 1.2.4 - მუნიციპალიტეტის ურბანული იერსახის გაუმჯობესება

ამოცანა 1.2.5 - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

მიზანი 1.3 - ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

მიზნის ქვეშ გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი და მწვანე სივრცეების განვითარების ღონისძიებები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

ამოცანა 1.3.1 - გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა

ამოცანა 1.3.2 - ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვა

ამოცანა 1.3.3 - გარემოს დაბინძურების შემცირება

ამოცანა 1.3.4 - მწვანე სივრცეების, ეკო-ზოლებისა და ზოგადი ურბანული გარემოს გამწვანების გაძლიერება

ამოცანა 1.3.5 - მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვა.

პრიორიტეტი 2 - მდგრადი, მრავალმხრივი ადგილობრივი ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, მეწარმეობის, აგროინოვაციების და ტურიზმის ხელშეწყობით.

მიზანი 2.1 - ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერება და ბიზნესგარემოს განვითარება

მიზნის ქვეშ გათვალისწინებული ღონისძიებები ემსახურება ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებასა და ამ პროცესში ყველა მოქალაქისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

ამოცანა 2.1.1 - მცირე და საშუალო მეწარმეობის და ინოვაციური ბიზნეს იდეების მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა

ამოცანა 2.1.2 - რეგულაციების გამარტივება, ინვესტიციების მოზიდვა და საჯარო-კერძო პარტნიორობების ხელშეწყობა

ამოცანა 2.1.3 - ინოვაციური ბიზნეს-სივრცეების შექმნა და განვითარება

ამოცანა 2.1.4 - ინოვაციური ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტი 3 - ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ადამიანზე ორიენტირებული ჯანდაცვა და სოციალური დაცვის სისტემის განვითარება.

მიზანი 3.1 - მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

მიზანი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სოციალური გარემოს გაუმჯობესებას და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის გაძლიერებას.

ამოცანა 3.1.1 - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერა

პრიორიტეტი 4 - განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო და არაფორმალური მომსახურებების მხარდაჭერის გზით

მიზანი 4.1 - ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სერვისების უზრუნველყოფა

მიზანი ემსახურება მუნიციპალიტეტში განათლების სხვადასხვა საფეხურის სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობასა და მათი ხარისხის გამუმჯობესებას.

ამოცანა 4.1.1 - ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ამოცანა 4.1.2 - საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო პროცესების მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა

ამოცანა 4.1.3 - პროფესიული პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა ფინანსური მხარდაჭერის გზით

პრიორიტეტი 5 - მდგრადი კულტურული, სპორტული, ახალგაზრდული და ტურისტული ეკოსისტემის ფორმირება

მიზანი 5.1 - ინოვაციებზე დაფუძნებული და ხელმისაწვდომი კულტურული გარემოს განვითარება

მიზნის ქვეშ გათვალისწინებული ღონისძიებები ემსახურება მუნიციპალიტეტის კულტურული გარემოს მხარდაჭერას კულტურის სფეროში მეტი მრავალფეროვანი ღონისძიების ორგანიზებით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კულტურის ობიექტების პოპულარიზაციით.

ამოცანა 5.1.1 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელმისაწვდომობის ზრდა

ამოცანა 5.1.2 - კულტურის სფეროში მოქმედი ა(ა)იპ-ებისა და კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერა

ამოცანა 5.1.3 - კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და მხატვრული ძეგლების დაცვა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მიზანი 5.2 - სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა

მიზანი ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის სპორტული გარემოს განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

ამოცანა 5.2.1 - საბაზისო და არაფორმალური სპორტული პროგრამების განვითარება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის;

ამოცანა 5.2.2 – სპორტული კლუბების, სკოლის გუნდებისა და ა(ა)იპ-ების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება

ამოცანა 5.2.3 - სპორტის სფეროში ადგილობრივი პარტნიორობისა და კოლაბორაციის გაძლიერება

ამოცანა 5.2.4 - ინოვაციური მიდგომების დანერგვა სპორტის პოპულარიზაციისათვის

მიზანი 5.3 - ახალგაზრდობის მხარდაჭერა

მიზნის ქვეშ გათვალისწინებული ღონისძიებები ემსახურება მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ახალი სივრცეების შექმნას და მათი შესაძლებლოების მხარდაჭრას სხვადასხვა მიმართულებით.

ამოცანა 5.3.1. - ახალგაზრდული სივრცეების, ბიბლიოთეკებისა და ტექნო-ჰაბების განვითარება

ამოცანა 5.3.2 - ახალგაზრდებში მეწარმეობის, ციფრული აზროვნებისა და ინოვაციურ უნარების განვითარება

ამოცანა 5.3.3 - თემატური კონკურსებისა და პროექტების ორგანიზება

ამოცანა 5.3.4 - ახალგაზრდების მონაწილეობისა და განვითარების შესაძლებლობების გაფართოება

ხედვა		2037 წელს დმანისი არის მდგრადი, ინკლუზიური და მეწარმეობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტი, სადაც 1.8 მილიონი წლის ისტორია ჰარმონიულად ერწყმის აგროინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიურ სერვისებს. განვითარებული ინფრასტრუქტურა და ეკოლოგიურად სუფთა გარემო ქმნის ტურისტულად მიმზიდველ და ეკონომიკურად ძლიერ სივრცეს, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობა მუდმივად იზრდება.					
პრიორიტეტი 1.		**უსაფრთხო და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა და გარემოს დაცვა**					
მიზანი 1.1		**საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის ზრდა**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 8, 9, 10**
გავლენის ინდიკატორი 1.1:	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი საბაზისო ინფრასტრუქტურის სერვისების სარგებლობით		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის შედეგი
		მაჩვენებელი	51%	60%		75%	
ამოცანა 1.1.1		**ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია**					
ამოცანის შედეგის	მყარსაფარიანი მოწესრიგებული მუნიციპალური გზების წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**

ინდიკატორი 1.1.1	მუნიციპალური გზების მთლიან მოცულობაში	წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში; ბიუჯეტის შესრულების ანგარიში; გზების პასპორტიზაციის მონაცემები
		მაჩვენებელი	15%	40%	55%	90%	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 1.1.2		**წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2	სასმელად ვარგისი წყლით უზრუნველყოფილი დასახლებების წილი დასახლებათა მთლიან რაოდენობაში		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	1. მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა; 2. წყლის ხარისხის კვლევის ლაბორატორიული შედეგები.
		მაჩვენებელი	50%	70%	80%	100%	

რისკი							
მიზანი 1.2		**საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 8, 9, 10**
გავლენის ინდიკატორი 1.2	მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის ხარისხითა და ხელმისაწვდომობით (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	მუნიციპალური სერვისებით კმაყოფილების კვლევის ანგარიში
		მაჩვენებელი	51%	60%		75%	
ამოცანა 1.2.1		**საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1	მოწყობილი ან რეაბილიტირებული საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების რაოდენობა (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	20%	45%	55%	60%	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						

ამოცანა 1.2.2		სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია და მოდერნიზება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2	რეაბილიტირებული დაწესებულებების პროცენტული წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	15%	30%	40%	60%	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 1.2.3		**კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და განახლება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	40%	55%	60%	70%	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 1.2.4		**მუნიციპალიტეტის ურბანული იერსახის გაუმჯობესება**					

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.4	ურბანული განახლების პროექტების რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	0	2	2	2	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 1.2.5		**ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.5	ტურისტული ობიექტებისა და მომსახურების რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	2%	10%	25%	50%	
რისკი	არასაკმარისი ფინანსური რესურსი და სატენდერო პროცესების შეფერხება						
მიზანი 1.3		**ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 8, 9, 10**

გავლენის ინდიკატორი 1.3:	ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ინფრასტრუქტურული ობიექტების პროცენტული წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	მონიტორინგის შედეგები/ანგარიშები
		მაჩვენებელი	10%	20%		50%	
ამოცანა 1.3.1		**გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1	მოწყობილი ან რეაბილიტირებული საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების რაოდენობა (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	20%	45%	55%	60%	
რისკი	ფინანსური რესურსების შეზღუდულობა ენერგოეფექტურ პროექტებში და კერძო სექტორისა და მოსახლეობის დაბალი დაინტერესება						
ამოცანა 1.3.2		**ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვა**					
	გაზიფიცირებული დასახლებული პუნქტების რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.2		**წელი**	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	37	43	50	58	
რისკი	ინფრასტრუქტურის მოწყობის ტექნიკური სირთულეები						
ამოცანა 1.3.3		**გარემოს დაბინძურების შემცირება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.3	გარემოს დაბინძურების შემცირება და ნარჩენების მართვა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	0	50%	75%	85%	
რისკი	მოსახლეობის დაბალი ჩართულობა ნარჩენების სეპარაციაში,ტექნიკური ინფრასტრუქტურის არასათანადო ფუნქციონირება						
ამოცანა 1.3.4		**მწვანე სივრცეების, ეკო-ზოლებისა და ზოგადი ურბანული გარემოს გამწვანების გაძლიერება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.4	მწვანე სივრცეების, ეკო ზოლებისა და ზოგადი ურბანული გარემოს გამწვანების გაძლიერების გეგმის		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	

	შესრულების პროცენტული მაჩვენებელი	მაჩვენებელი	0%	50%	70%	80%	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
რისკი	დარგული ნერგების დაბალი გადარჩენის მაჩვენებელი, მოსახლეობის პასიურობა გამწვანების პროცესში, კლიმატური პირობები (გვალვა, ძლიერი წვიმები)						
ამოცანა 1.3.5		**მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.5	მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვის გეგმის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	0	50%	70%	90%	
რისკი	მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება სტერილიზაციის პროგრამის მიმართ , მიუსაფარი ცხოველების ზუსტი რაოდენობის არარსებობა, ფინანსური რესურსების ხანგრძლივი უზრუნველყოფის სირთულე						
პრიორიტეტი 2		**მდგრადი, მრავალმხრივი ადგილობრივი ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის განვითარება, მეწარმეობის, აგროინოვაციების და ტურიზმის ხელშეწყობით.**					
მიზანი 2.1		**ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერება და ბიზნესგარემოს განვითარება**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 8, 9, 10**

გავლენის ინდიკატორი 2.1:	მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის ბრუნვა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	საქსტატის მონაცემები
		მაჩვენებელი	გაანგარიშდება საქსტატის განახლებული მონაცემების შესაბამისად	ზრდა 10%		ზრდა 10%	
ამოცანა 2.1.1		**მცირე და საშუალო მეწარმეობის და ინოვაციური ბიზნეს იდეების მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	ჩატარებული ტრენინგები, მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	X	ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	კერძო სექტორის ნაკლები აქტიურობა,კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, მიგრაცია						

ამოცანა 2.1.2		რეგულაციების გამარტივება, ინვესტიციების მოზიდვა და საჯარო-კერძო პარტნიორობების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	მოზიდული გრანტებისა და ინვესტიციების მოცულობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	X	ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	საინვესტიციო პროცედურების (ნებართვები, დოკუმენტაცია) სირთულე და ხანგრძლივობა, რაც აფერხებს ინვესტორის სწრაფ შესვლას.						

ამოცანა 2.1.3		ინოვაციური ბიზნეს-სივრცეების შექმნა და განვითარება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3	ჩატარებული ტრენინგების და მათში მონაწილეთა რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	X	ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	ადგილობრი მეწარმეების ნაკლები აქტიურობა						

ამოცანა 2.1.4		ინოვაციური ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.4	კმაყოფილი მეწარმეთა რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	X	ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება სტერილიზაციის პროგრამის მიმართ , მიუსაფარი ცხოველების ზუსტი რაოდენობის არარსებობა, ფინანსური რესურსების ხანგრძლივი უზრუნველყოფის სირთულე						
პრიორიტეტი 3		**ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ადამიანზე ორიენტირებული ჯანდაცვა და სოციალური დაცვის სისტემის განვითარება**					
მიზანი 3.1		**მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 8, 9, 10**
გავლენის ინდიკატორი 3.1:	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	

		მაჩვენებელი	გაანგარიშდება საქსტატის განახლებული მონაცემების შესაბამისად	ზრდა 10%		ზრდა 10%	საქსტატის მონაცემები
ამოცანა 3.1.1		**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.5	სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დონის გაზრდა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	9500	5%	5%	5%	
რისკი	ბენეფიციართა დამოკიდებულების გაღრმავება სოციალური დახმარების მიღებაზე, დამოუკიდებელი უნარების განვითარების ნაცვლად						
პრიორიტეტი 4.		**განათლების ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო და არაფორმალური მომსახურებების მხარდაჭერის გზით**					
მიზანი 4.1		**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სერვისების უზრუნველყოფა**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**4,5**

გავლენის ინდიკატორი 4.1:	განათლების სერვისებით მოსარგებლე ბავშვებისა და ახალგაზრდების წილი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის საერთო რაოდენობაში მუნიციპალიტეტში (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	საქსტატის მონაცემები
		მაჩვენებელი	გაანგარიშდება საქსტატის განახლებული მონაცემების შესაბამისად	ზრდა 10%		15%	
ამოცანა 4.1.1		**ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1	სკოლამდელ დაწესებულებებში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობის პროცენტი იმ ბავშვების მთლიანი რაოდენობაზე, რომლებიც 2–6 წლის ასაკში სკოლამდელ განათლებას საჭიროებენ.		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	გაერთიანების ანგარიში
		მაჩვენებელი	30%	50%	60%	80%	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა და ავტორიზაციის პროცესის სირთულე						

ამოცანა 4.1.2		საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო პროცესების მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.2	საგანმანათლებლო პროექტებში/პროგრამებში მოსწავლეთა ჩართულობის ზრდა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის წლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	20%	30%	50%	80%	
რისკი	მონაწილეთა დაბალი ჩართულობა და ინტერესი საგანმანათლებლო/არაფორმალური პროგრამების მიმართ, რაც შესაძლოა ზღუდავდეს პროგრამების ეფექტურობას						
ამოცანა 4.1.3		**პროფესიული პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა ფინანსური მხარდაჭერის გზით**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.3	პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრირებული დმანისის მოქალაქეების რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	პროფესიული სასწავლებლებიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები
		მაჩვენებელი	სასწავლებლებიდან მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად 70 პირი	ზრდა 10%	ზრდა 15%	ზრდა 20%	

რისკი	შეზღუდული კოორდინაცია პროფესიულ კოლეჯებთან და სასწავლო დაწესებულებებთან, რაც იწვევს პროგრამების არასათანადო განხორციელებას და სტუდენტების ჩართულობის დაბალ დონეს						
პრიორიტეტი 5		**მდგრადი კულტურული, სპორტული, ახალგაზრდული და ტურისტული ეკოსისტემის ფორმირება**					
მიზანი 5.1		**ინოვაციებზე დაფუძნებული და ხელმისაწვდომი კულტურული გარემოს განვითარება**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 4,5, 10**
გავლენის ინდიკატორი 5.1:	კულტურული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	საქსტატის მონაცემები
		მაჩვენებელი	30%	45%		70%	
ამოცანა 5.1.1		**კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელმისაწვდომობის ზრდა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1	კულტურულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	

		მაჩვენებელი	35%	45%	60%	70%	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
რისკი	ფინანსური რესურსის ნაკლებობა, გარე ფაქტორები (ამინდები, ეპიდსიტუაცია, ეკონომიკური კრიზისი და.აშ)						
ამოცანა 5.1.2		**კულტურის სფეროში მოქმედი ა(ა)იპ-ებისა და კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.2	მუნიციპალიტეტში მოქმედ კულტურულ დაწესებულებათა მიერ სუბიექტების მიერ განხორციელებული პროგრამების/აქტივობების მოსარგებლეთა წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	20%	35%	40%	60%	
რისკი	კულტურული დაწესებულებების და ორგანიზაციების მხრიდან ინიციატივის ნაკლებობა/არასათანადო ჩართულობა						
ამოცანა 5.1.3		**კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და მხატვრული ძეგლების დაცვა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.3	ინოვაციური და ციფრული პლატფორმების გამოყენებით ხელმისაწვდომი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ზრდა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	

		მაჩვენებელი	0%	20%	35%	70%	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
რისკი	ფინანსური და ტექნოლოგიური სირთულეები, რომლებიც აფერხებს ძეგლების დაცვას, აღდგენას და ციფრულ ხელმისაწვდომობას მოსახლეობისთვის						
მიზანი 5.2		**სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 3,5, 10**
გავლენის ინდიკატორი 5.2:	რეგულარულად სპორტით დაკავებული მოსახლეობის წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	საქსტატის მონაცემები
		მაჩვენებელი	5%	15%		30%	
ამოცანა 5.2.1		**საბაზისო და არაფორმალური სპორტული პროგრამების განვითარება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1	დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული აქტივობებში მონაწილე მოსახლეობის პროცენტი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	

		მაჩვენებელი	25%	35%	40%	60%	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
რისკი	სპორტული აქტივობებში ჩართვის დაბალი ინტერესი, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ინფრასტრუქტურის არასაკმარისობით						
ამოცანა 5.2.2	**სპორტული კლუბების, სკოლის გუნდებისა და ა(ა)იპ-ების საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება**						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.2	მუნიციპალიტეტში მოქმედ სპორტულ სუბიექტების მიერ განხორციელებულ აქტივობებში ჩართულ ახალგაზრდათა რაოდენობის ზრდა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	30%	35%	45%	60%	
რისკი	შეზღუდული ფინანსური რესურსი						
ამოცანა 5.2.3	**სპორტის სფეროში ადგილობრივი პარტნიორობისა და კოლაბორაციის გაძლიერება**						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.3	სპორტული სკოლების, კლუბების და ა(ა)იპ-ების შორის განხორციელებული ერთობლივი პროექტებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	

		მაჩვენებელი	5 %	10% ზრდა	15 % ზრდა	20 % ზრდა	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
რისკი	სპორტული ჰაბების არამდგრადი ფუნქციონირება საკადრო, პროგრამული ან ფინანსური რესურსების არასაკმარისი უზრუნველყოფის გამო, რაც შეიძლება ზღუდავდეს მოსახლეობის გრძელვადიან ჩართულობას.						
ამოცანა 5.2.4		**ინოვაციური მიდგომების დანერგვა სპორტის პოპულარიზაციისათვის**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.4	დანერგილი ინოვაციური სპორტული აქტივობებისა და ციფრული პლატფორმების რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას და ჯანმრთელი ცხოვრების სტიმულირებას		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	0	5	10	15	
რისკი	ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა ინოვაციურ აქტივობებში ტექნოლოგიების ან დაინტერესების ნაკლებობის გამო, რაც ხელს უშლის სპორტის პოპულარიზაციის მიზნების მიღწევას						
მიზანი 5.3		**ახალგაზრდობის მხარდაჭერა**			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 3,5, 10**	

გავლენის ინდიკატორი 5.3:	ახალგაზრდების ჩართულობის დონე ადგილობრივად დაგეგმილ ახალგაზრდულ პროგრამებსა თუ პროექტებში		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	კვლევა
		მაჩვენებელი	10%	15%		25%	
ამოცანა 5.3.1		**ახალგაზრდული სივრცეების, ბიბლიოთეკებისა და ტექნო-ჰაბების განვითარება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.1	მოწყობილი ან რეაბილიტირებული ახალგაზრდული სივრცეებით მოსარგებლეთა რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	5%	20%	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
რისკი	ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 5.3.2		**ახალგაზრდებში მეწარმეობის, ციფრული აზროვნებისა და ინოვაციურ უნარების განვითარება**					
ამოცანის შედეგის	ახალგაზრდების პროცენტული მაჩევენებელი, რომლებიც		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**

ინდიკატორი 5.3.2	მონაწილეობენ მეწარმეობის ან ინოვაციურ პროექტებში	წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	2%	5%	15%	20%	
რისკი	ახალგაზრდობის გადინება მუნიციპალიტეტიდან						
ამოცანა 5.3.3	**თემატური კონკურსებისა და პროექტების ორგანიზება**						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.3	ორგანიზებული კონკურსებსა და პროექტებში ჩართულთა რაოდენობა წელიწადში		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	35 ახალგაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
რისკი	ახალგაზრდობის გადინება მუნიციპალიტეტიდან						
ამოცანა 5.3.4	**ახალგაზრდების მონაწილეობისა და განვითარების შესაძლებლობების გაფართოება**						
ამოცანის შედეგის	მუნიციპალური მხარდაჭერის ფარგლებში ნიჭიერი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**

ინდიკატორი 5.3.4	ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი	წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	5%	15%	30%	45%	
რისკი	ახალგაზრდობის გადინება მუნიციპალიტეტიდან						

თავი III. დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

დმანისის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება გრძელვადიანი განვითარების დოკუმენტით წარმოდგენილი ხედვისა და მიზნების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- გამართული კოორდინაცია ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან
- პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი და სხვა.)
- კანონიერების პრინციპი
- გამჭვირვალობა
- ანგარიშვალდებულება

სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელია დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულოსთან კოორდინაციით. სტრატეგიისა და მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის პასუხისმგებელ უწყებებად ასევე განსაზღვრულნი არიან საქართველოს სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები, ცალკეული აქტივობების შესაბამისად.

მერია წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების ოპერაციულ ორგანოს, რომელიც უზრუმველყოფს დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სამოქმედო გეგმის შესრულებას, შიდა კოორდინაციასა და სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობას. სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეკრება განსაზღვრულია წელიწადში ორჯერ. სტრატეგია არ მოიაზრება სტატიკურ დოკუმენტად, პოლიტიკის ციკლის განხორციელების შესაბამისად, მასში შესაძლებელია ცვლილელების ასახვა ახალ გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით წლიურ ანგარიშებსა და

შუალედური შეფასების ანგარიშში მიღწეული შედეგისა და გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად, შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. სამუშაო ჯგუფის ინიციატივით მოხდება ასევე მომდევნო სამოქმედო გეგმების მომზადება. სტრატეგიის განხორციელების პროცესში ყურადღება დაეთმობა ფართო საზოგადოების მონაწილეობას, განსაკუთრებით კი ქალთა, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის მხარდაჭერას.

დოკუმენტის სამოქმედო გეგმით (დანართი 1) განსაზღვრული აქტივობები და ღონისძიებები მოიცავს 2026–2037 წლების პერიოდს, რომლის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 430 829 426 ლარს, საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტის ნაწილში შემოსავლებისა და ასიგნებების გათვალისწინებით, სავარაუდო ხელმისაწვდომი რესურსი შეადგენს დაახლოებით 155 081 454 ლარს. გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსება სრულად არ არის უზრუნველყოფილი და არსებული დეფიციტი შეადგენს დაახლოებით 116 997 526 ლარს. სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში ეტაპობრივად განისაზღვრება და დაემატება ახალი აქტივობები და ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამიზნე ინდიკატორების ეფექტიან შესრულებას. ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, **მუნიციპალიტეტი გეგმავს შესაბამისი დაფინანსების მოძიებას როგორც საკუთარი რესურსების ოპტიმიზაციის, ისე ცენტრალური და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობის გზით, რათა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების სრული და შეუფერხებელი შესრულება.** რეალისტური სცენარის შემთხვევაში, აქტივობების ნაწილი, რომლისთვისაც თანხები არ იქნება მოძიებული, დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ დამატებითი საბიუჯეტო რესურსების გამოყოფის გზით ან გადავა მომდევნო სამოქმედო გეგმებში. პესიმისტური სცენარის შემთხვევაში კი აქტივობების ნაწილი აქტივობები ვერ განხორციელდება ფინანსური რესურსების არარსებობის გამო.

დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 დადგენილება „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების პროგრამის შედგენის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად. მონიტორინგის

ფარგლებში მოხდება პოლიტიკის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და აქტივობებში ცვლილებების შეტანა, აგრეთვე რესურსების გადანაწილება, დამატებითი სახსრების მოზიდვის ან შემცირების მიმართულებით. მონიტორინგის სისტემა ემსახურება სტრატეგიული ხედვის მიღწევის პროგრესის სისტემატურ შეფასებასა და ხარვეზების დროულ გამოვლენას. სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი კოორდინაციას გაუწევს აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და შესაბამისი ფორმით გამოქვეყნებას განსაზღვრული პერიოდულობით. კონსოლიდირებული სტატუს ანგარიშის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი მოამზადებს ექვსთვიან პროგრეს/ანგარიშებს და წლიურ ანგარიშებს. პროგრეს/ანგარიშები მოიცავს მონაცემებს 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდისთვის, ხოლო წლიური ანგარიშები – მიმდინარე საანგარიშო პერიოდის 31 დეკემბრის ჩათვლით. პასუხისმგებელი უწყებები საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ მონაცემებს სტატუს ანგარიშების ფორმით სამუშაო ჯგუფს გაუგზავნიან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ივლისისა პროგრეს ანგარიშის შემთხვევაში და 15 თებერვლისა წლიური ანგარიშის შემთხვევაში. მონიტორინგის პროცესის პარალელურად, სტრატეგიის შუალედური შეფასება ჩატარდება 2-ჯერ - 2029 და 2033 წელს. 2037 წელს კი სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით განხორციელდება დოკუმენტის საბოლოო შეფასება შერეული შეფასების ფორმით. შეფასებაში ჩართული იქნებიან როგორც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, ისე გარე დამოუკიდებელი შემფასებლები.

სტრატეგიის პროგრესის გასაზომად შესაბამისი ჯგუფი ინფორმაციას ინდიკატორების შესრულებასთან დაკავშირებით გამოიყენებს შემდეგი წყაროებიდან: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი); სახელმწიფო სერვისების სააგენტოები (სოციალური, ჯანდაცვა, განათლება); მერიის სამსახურების ადმინისტრაციული მონაცემები; მოსახლეობის კმაყოფილების კვლევები; ახალი მონაცემების წარმოება - საჭიროებისამებრ, დონორთა მხარდაჭერით.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების შესახებ დაინტერესებული მხარეებისა და ფართო აუდიტორიის ინფორმირების მიზნით სტრატეგიის დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმების პროექტები, მონიტორინგის წლიური ანგარიშები და შუალედური და

საბოლოო შეფასების ანგარიშები კომენტარებისთვის გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და სოციალური მედიის გვერდზე. ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომი იქნება სტრატეგიასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის. განახლებული ინფორმაცია ასევე გასაჯაროვდება სოციალურ მედიაში, ოფიციალური ანგარიშების საშუალებით.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების კალენდარი			
ანგარიშის ტიპი	ანგარიშების მომზადების თარიღი/პერიოდულობა	საანგარიშო პერიოდი	გაზიარების/საჯარო გამოქვეყნების ვადა
მონიტორინგი			
პროგრეს-ანგარიში	საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ (ივლისი-აგვისტო)	6-თვიანი პერიოდი (იანვარი-ივნისი)	მოცემული წლის 31 აგვისტო
წლიური ანგარიში	საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ (იანვარი-თებერვალი)	1-წლიანი პერიოდი (იანვარი-დეკემბერი)	მოცემული წლის 28 თებერვალი
შეფასება			
შუალედური შეფასება	2030 წელი	4-წლიანი პერიოდი (2026 წლის იანვრიდან 2029 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2030 წლის 30 ივნისი
შუალედური შეფასება	2034 წელი	4-წლიანი პერიოდი (2030 წლის იანვრიდან 2033 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2034 წლის 30 ივნისი

საბოლოო შეფასება	2038 წელი	12-წლიანი პერიოდი (2026 წლის იანვრიდან 2037 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2038 წლის 30 ივნისი